№ 58

შაბათი, 23 აპრილი

1877—1905

№ 58

შაბათი, 23 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულ
სტრიქონი პეტიტით პირველ გვ
ზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10
წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და სა
ზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

სტამბის მიზეზით „ივერია“ დღეს ნახევარ ფურცლად გამოდის. დანაკლისს ამ დღეებში შევუვსებთ მკითხველებს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი და **ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძმისა და მეორე მაზლის

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანის

გარდაცვალებას ქ. ბრიუსელში. პანაშვიდი კვირას, 24 ამა აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—6—1)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა. შაბათს, 23 აპრილს, 1905 წ., დიდი წარმოდგენაა **ცირკის გამგეს გერასიმ მიხეილის ძე მუსსურის საბენეფისოდ.** მეორე განყოფილების ბოლოს იქმნება, სხვათა შორის, **ოთხი ჭიდაობა საუკეთესო ფალავნებისა.** 1-ლი კავკასიური ჭიდაობა განთქმულ ფალავნის **ჯიბგირისა,** ცნობილ მოჭიდავე **ვასო მეკოკიშვილთან.** პრემია ვერცხლის საათი.. მეორე კავკასიური ჭიდაობა. ცნობილი მოჭიდავე **ვანო თარხანოვი** დაეჭიდება **დავით ოთარაშვილს.** პრემია ვერცხლის საათი. მესამე კავკასიური ჭიდაობა ცნობილ მოჭიდავის **ალექსი აივაზოვისა** და ცნობილ მოჭიდავის **არშაკ ნერსესოვისა.** პრემია ვერცხლის საათი. მეოთხე კავკასიური ჭიდაობა, მონაწილეობას იღებენ ჰერკულესი, მოჭიდავენი **ლიტვინოვი და რომო,** ბოლოს წარმოდგენილი იქნება პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟუჟუნაძე. კბილის—8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე., ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 აპრილი.

ვარშავა, 21 აპრილი. დილის გაზეთები არ გამოვლენ. გაფიცულ ასოთამწყობებმა ღამე მომუშავე ამხანაგები გასდევნეს.

პეტერბურგი, 21 აპრილი. პოლიციის უფროსად კავკასიაში ხელმწიფის ნაცვლის თანაშემწის უფლებებით დაინიშნა სასახლის პოლიციის უფროსი გენერალ-მაიორი შირინკინი.

მინსკი, 21 აპრილი. გაიფიცნენ მუშები ფეხთსაცმელების მოსამზადებელ სახელოსნოებში. სობოროს მოედანზე, სასტუმრო „ევროპა“-ს ელექტრონის მანქანის ქვაბი გასკდა.

მარიუპოლი, 21 აპრილი. გაიფიცნენ ნავთ-სადგურის მუშები და ნახშირის მტვირთველნი. ნახშირის მწარმოებელთ ბჭობა ჰქონდათ, მაგრამ საკითხი ვერ გამოარკვიეს. მუშაობას ჯერ არ შესდგომიან.

ასტრახანი, 21 აპრილი. ვლადიმიროვკაში სოდემ ალკის მუშათა გაფიცვა დაიწყო.

22 აპრილი

კრონშტადტი, 21 აპრილი. ნაოსნობა დაიწყო. 153 დღის განმავლობაში ნავთ-სადგური დაკეტილი იყო.

პარიზი, 21 აპრილი. ოსმალეთის მთავრობას იმედი აქვს, დაიქირაოს რუსის გემები არაბეთში გასაგზავნად. გემებმა „ევა“, „დაგმარა“-მა და „ბურბონ“-მა, რომელთაც აქამომდის საიგონიდან ბალტიის ესკადრისთვის სურსათი გადაჰქონდათ, ბძანება მიიღეს: გადატან-გადმოტანა შესწყვიტეთო.

რომი, 21 აპრილი. მფარველმა სახელმწიფოებმა მეფის ძე გიორგის ნოტა გაუგზავნეს და გაუცხადეს, თუ კრიტში დაუყოვნებლივ მშვიდობიანობა არ ჩამოაგდე, კომისარის თანამდებობიდან გადაგაყენებთო.

სტამბოლი, 21 აპრილი. 17 აპრილს იპეკში მოჰკლეს სერბიელი ჟანდარმი და ერთი სერბიელიც დასჭრეს. 19 აპრილს 2000 შეიარაღებული ალბანელი შეესია იპეკს, მოითხოვეს მუტესარიფის გადაყენება და იემენში გადაყვანილ ვალის შარიფ-ფაშის დაბრუნება. ქრისტიანები შეშინებულნი არიან, ბაზარი დაკეტილია, დიაკოვში მომხდარ არეულობის ამბავი მოვიდა; თუმცა ჯერ დაწვრილებით არა იციან რა. კონსულებს პრიზრენში მოუთხოვნიათ შესაფერ ზომების მიღება. პრიზრენში მეოფმა შემზი-ფაშამ მოითხოვა ახალი ჯარი დასახმარებლად. დღეს მინისტრთა საბჭოში განიხილეს დიდ ვეზირისაგან შემოტანილი წინადადება უკმაყოფილო ელემენტების საწინააღმდეგოდ სასტიკი ზომების შესახებ. აქაურმა ელჩებმა შეადგინეს საერთო ნოტა და ითხოვენ ზედმეტ საბაჟო სამმართველოების მოსპობილ რეფორმების შემოღებასაც. ნოტას პორტას მთავრობას ამ დღეებშივე ჩააბარებენ.

პეტერბურგი, 21 აპრილი. 10 აპრილს სენატისადმი მიმართულ უკაზის მესამე მუხლის თანახმად საერობო განყოფილების უფროსის თანაშემწე ლიტვინოვი გაიგზავნა კურსკის და ვორონეჟის გუბერნიების სხვადასხვა მაზრაში. ლიტვინოვმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს იმ სამაზრო კომისიებს, რომელიც არის დაარსებული იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას გლეხთა მოძრაობაში, და რა ზარალი მოიტანა ამ მოძრაობამ, აგრეთვე იმისთვის, რომ ეს ზარალი დამნაშავე პირთ გადაახდევინონ.

პეტერბურგი, 21 აპრილი. შემოღებულია სამხედრო წესები ტომსკის გუბერნიაში ანჟერის და სუჯის ქვა-ნახშირის მადნებში. ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსს ამ ადგილებში მიენიჭა მთავარსარდლის უფლება.

მელბურნი. ავსტრალიის პრეზიდენტის რეიდის საგანგებო დეპეშის პასუხად ლორდ ლანსდოუნმა დეპეშითვე შეატყობინა, რომ პორტუგალიის მთავრობას არავითარი ცნობა არა აქვს იმის შესახებ, მართლა იყიდა თუ არა გერმანიამ ტიმორის კუნძული, ავსტრალიის ჩრდილო ნაპირის მახლობლად მდებარე. რეიდმა მეორე ტელეგრამით განაცხადა, ავსტრალიის მთავრობა ავსტრალიისადმი მუქარად ჩასთვლის, თუ კუნძული ტიმორი ისეთის არა-მეგობრულ სახელმწიფოს ხელში გადავიდა, როგორიცაა გერმანია. სიდნეიში ცნობა მოვიდა, გერმანიის მთავრობამ განიზრახა ავსტრალიის ვაჭრობის შემზღუდავი ზომები შემოიღოსო. პირველ მინისტრის მოადგილემ მაკ-ლინმა ეს ცნობა ვერ დაამოწმა.—ხალხი ძლიერ დაინტერესებულია მაკედონიაში მომხდარ ამბებით. გაზეთები ყოველდღე ჰბეჭდვენ რეზოლიუციებს, ბულგარიაში სხვადასხვა მიტინგებზე შემუშავებულთ. ამითი პროტესტს უცხადებენ იმ მხეცობას, რომლებიც ბერძენთა ჩეტებმა ზაგორიჩანში ჩაიდინეს. 13 აპრილს ოსმალეთის სალდათებმა იერიში მიიტანეს და დასწვეს ბერძნების სოფელი დავაბია და ბულგარელებისა—ცერი, რომელნიც კრუშევის ოლქში, დემირხისარის მახლობლად მდებარეობდნენ. ამ თვის პირველებში ბულგარელმა გლეხებმა, რომლებიც საბერძნეთში სამუშაოდ იყვნენ გასულნი, კუმანოვოში ბულგართა გამრავლების მოწინააღმდეგე რამდენიმე სერბიელი მოჰკლეს.

სრეტენსკი, 21 აპრილი. გუშინ გზათა მინისტრმა სრეტენსკი დაათვალიერა და ბაიკალზე წავიდა.

კრემენჩუგი, 21 აპრილი. წყალ-დიდობამ დნეპრზე იმატა. ქალაქის განაპირა ადგილები წყალმა დაჰფარა. ხალხი დაზარალდა. წყალი თანდათან მატულობს.

რომი, 21 აპრილი. კრიტოსის საკითხის გადასაწყვეტად საერთაშორისო კონფერენციის კრება ხუთშაბათს იქმნება.

კანეია, 20 აპრილი. „დეილ მეილ“-მა მიიღო შემდეგი დეპეშა: „კრიტოსის მცხოვრებნი თავიანთ წმიდა გრძნობებს შეურაცხყოფილად სთვლიან იმითი, რომ საერთაშორისო ჯარმა ბერძნების ბაირაღი ჩამოხსნა— და მიმართავენ ლიბერალურ ნაციებს და ევროპის პრესსას და ემუდარებიან გვიშუამდგომლეთ დიდ სახელმწიფოთა წინაშე, ჩვენი კანონიერი პოლიტიკური მისწრაფებანი განახორციელონო“.

მოსკოვი, 21 აპრილი. მოსკოვზე გაიარა გერმანიის რაზმმა, რომელსაც შეადგენს ათი სანიტარის და, პრინცესა რეისის მეთაურობით.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

21 აპრილი.

პეტერბურგი, 21 აპრილი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 20 აპრილის თარიღით: „18 აპრილს კაზაკთა რაზმმა პოდესაულ ჟელეზნოვის უფროსობით აღმოაჩინა იაპონელების ერთი ესკადრონი და იერიში მიიტანა. იაპონელი ოფიცერი და რამდენიმე ათეული დრაგუნი აკუწეს, 11 ჯარის-კაცი ტყვედ წამოიყვანეს“.

მალაკკა, 21 აპრილი (რეიტერი). 4 ჯავშნოსანისა, 1 ჯავშნიანი კრეისერისა, 1 კანონერკასი და 5 ნახშირის მზიდავი გემისაგან შემდგარმა რუსის ესკადრამ სამხრეთისკენ გაიარა.

კელნი, 21 აპრილი. „კელნიშე-ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტი გუნჯულინიდან დეპეშით იუწყება: ხარბინში გამართულ გერმანიის ლაზარეთს უსახსრობის გამო ივნისში უკან გამოიწვევენო. რუსეთში ამ გარემოებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინაო.

22 აპრილი.

ჩიტა, 21 აპრილი. 19 აპრილს, ღამე, პერზიაკ-მანჯურიის ნაწილში, ქარიშხალი მძვინვარებდა. გაატარეს ხუთი დატუსაღებული ჩინელი, რომლებიც უკანასკნელ ომში ბრძოლის პოზიციებიდან ნიშნებს აძლევდნენ.

სინგაპური, 21 აპრილი. ნებოგატოვის ესკადრა მალაკკის სრუტეში ჟუგრთან უნახავთ, სინგაპურში შუაღამისას უნდა მივიდეს. ესკადრას შეადგენს 4 ჯავშნოსანი, ორი კრეისერი, ოთხი ნახშირის მზიდავი გემი და გემი-საავადმყოფო.

ამოი, 21 აპრილი. ჰფიქრობენ, ბალტიის ესკადრა სამხრეთ-ჩინეთის ნაპირებთან ტაიფუნის მიზეზით ძალიან დაზიანდაო. ამ კვირეში ესკადრა რამდენჯერმე ეცადა იაპონიის ესკადრის დაზვერას, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ტოკიო, 21 აპრილი. საერო დღესასწაული ომში მოკლულთა პატივსაცემლად 22 აპრილის საღამომდე გასტანს. მიკადოსა და იმპერატრიცის წარმომადგენლებად დაინიშნენ პრინცი ფუშიმა და პრინცესა კანინი. ტოკიო დილიდანვე გაიმსო ყოველ კუთხიდან მოსული ხალხით. პრესსას არა სწამს საფრანგეთის მთავრობის განცხადება ნეიტრალიტეტის შესახებ. გაზეთები ამბობენ, საფრანგეთის მიერ გამოთქმული სუსტი საყვედურები საქმეს ვერ უშველიანო, და სთხოვენ იაპონიის მთავრობას, სასტიკი ზომები მიიღეთო.

ტოკიო, 21 აპრილი. იაპონიის პრესსა ჰკიცხავს საფრანგეთის ქცევას ნეიტრალიტეტის შესახებ ინდო-ჩინეთში. „ჯიჯი შიმბუნი“ მოითხოვს, რომ მთავრობამ დაიცვას ეროვნული ინტერესები და აცხადებს, საფრანგეთი იქმნება პასუხისმგებელი, თუ ომი სხვა საზღვრებშიაც დაიწყო. ამბობენ, იაპონიის მთავრობას ამის შესახებ პროტესტი განუცხადებია საფრანგეთისთვის. დაწვრილებით ამის შესახებ ჯერ არა იციან-რა.

სინგაპური, 21 აპრილი. დღეს დილის 9 საათზე გემმა „სიელანგორმა“ მალაკკას სრუტეში შენიშნა ჯუგრასთან რუსის სამხედრო გემები,—ალბად ნებოგატოვის ესკადრა იქმნებოდაო.

ტოკიო. იუწყებიან, რომ მიკადო და მისი მეუღლე უქეიფობისა გამო ომში დახოცილ 30 ათას ჯარის-კაცთა პატივსაცემელ ცერემონიას არ დაესწრებიანო. იაპონიის ზღვას კვლავ სქელი ბურუსი აწევს. დანამდვილებით გამოირკვა, რომ ბალტიის ესკადრა 18 აპრილს დეიტას ნავთ-სადგურთან მდგარა, ხანკოუს ნავთ-სადგურის ჩრდილოეთით. ეჭვი არ არის, ფლოტი იძულებული შეიქმნა ბინა გამოეცვალა, რადგანაც საფრანგეთის წყლებში დგომით მისი ნეიტრალიტეტი არ დაირღვია. იმპერატორმა ვილჰელმმა ლეიტენანტ იშიბატას ოჯახობას 50,000 მარკა უბოძა, რადგანაც ლეიტენანტი უცხოელ სამხედრო აგენტების გზის ჩვენების დროს იქმნა მოკლული. პრინცმა ანტონ ჰოჰენცოლლერნმა—მისცა 500 იენი.

(ღამის დეპეშები იხ. მე-2 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

გენ. სტესელს უმთავრესად იმ ბრალსა სდებენ, რომ მას, როგორც კვანტუნის ნახევარკუნძულის უფროსს, პორტ-არტურის კომენდანტის გენ. სმირნოვის ნებადაურთველად ციხის ჩაბარების უფლება არა ჰქონდაო (ს. ო.).

მუკდენის ბრძოლის ისტორიიდან. 25 თებერვალს რუსეთის ჯარი და ქარავანი მუკდენიდან უკან იწევდა. ყველაფერი არეული იყო: ქარავანი, ზარბაზნები, ყუმბარების ყუთები, ცხენოსანი, ქვეითი, სანიტარი და სხ. ყველანი გაჩქარებით მიდიოდნენ. ქარავანი რამდენსამე ვერსზე იყო გაჭიმული. უცებ აღმოსავლეთით ჯერ ერთი ზარბაზანი გავარდა, მერე მეორე, მერე სამი,—ოთხი ერთად და წამოვიდა შიმოზების სეტყვა. ყველა შეკრთა, შეშინდა, ყველას თავზარი დაეცა და არა სჯეროდა, რომ ამ მხ პონელები მოუვლიდნენ. შიმოზები წიდან ამოძვრნენო. ან იქნება ეს ლ იქნება ჩვენები არიან და შეცდომით გვიშენენ,—კითხულობდნენ ზოგიერთები, მაგრამ, რაკი ნახეს, რომ ეს ნამდვილი შიმოზები იყვნე არა რუსის ყუმბარა, აირია მონასტერი. ყვე თავზარი დაეცა. ქარავანი ჯერ დაიძრა და გალივით წავიდა. ცხენები, ხალხი, ბარგი, მები, ცხენოსნები და ქვეითები ერთმანეთში აირია, ერთმანეთს დაეტაკა, ცხენები იქცეოდნენ, მები ბრუნდებოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ იმსხვრეოდნენ. ცხენები ყუმბარებისგან იხოცე ნენ, ურმები ერთიმეორეზე ყირამალა გადადიო მეურმენი ცხენებს უშვებდნენ, ზედ ახტებოდნენ მიჰქროდნენ. დარჩენილი და გადაბრუნებულ ურმები უკანაკეს გზას უღობავდა, რის გამო ყველაფერი ღომხალივით აირია, ყველა მირბოდა, იმალებოდა და ყვიროდა, ყუმბარების ყუთებს გაგიჟებული ცხენები ისე მიაქროლებდნენ, რომ სისწრაფისა და გზის უსწორ-მასწორობისგან ყუთები ყირამალა გადადიოდნენ, იმსხვრეოდნენ. სალდათები ყველაფერს თავს ანებებდნენ, ცხენებზე სხდებოდნენ და თავდავიწყებით ჩრდილოეთისკენ მიჰქროდნენ. ეს მოძრაობა, გაგიჟებულ ცხოველთა და თავზარდაცემულთა სრბოლა და ქნება რაღაც სტიქიური, ინსტიქტური იყო. ყველაფერი და ყოველივე მიმდინარეობდა ზევით, სადღაც ჩრდილოეთისკენ და მხოლოდ თავის შველას ლამობდა (რ. ვ.).

რამდენი ჯარი ჰყავს იაპონიას. ამჟამად იაპონიას ჰყავს 400 ათასი მშვენივრად გაწვრთნილი სალდათი და 550 ათასი ნაკლებად ნასწავლი სალდათი. ამ რიცხვს უნდა მიემატოს 120 ათასი შარშანდელი სალდათი და 300 ათასი წრევანდელი. ამრიგად გამოდის, რომ იაპონიას ამჟამად 1,370,000 სალდათი ჰყავს. ავტორის აზრით ზაფხულის დამდეგს იაპონიას მანჯურიასა და კორეაში 765 ათასი კაცი ეყოლება (ს. ო.).

ახალი ამბავი

◆ 14 აპრილს პლასტუნის კაზაკთა რაზმი, პოდესაულის პოპენჩენკოს უფროსობით, ზუგდიდის მაზრაში გარს შემოერტყა სარიკამის ადგილს, სადაც ერთს გლეხის სახლში იმალებოდნენ უმთავრესი აგიტატორები: მასწავლებლად ნამყოფი **დიმიტრი გეთია** და იმისი **სამი ამხანაგი.** კაზაკებს სახლში მყოფნი სროლით მიეგებნენ. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა თვით გეთია. დანარჩენებმა ღამის სიბნელით ისარგებლეს და მიიმალნენ. მოკლულს აღმოაჩნდა ბერდანის თოფი, სახელმწიფო რევოლვერი და მრავალი პატრონა (კავ.).

◆ უსახელო საზოგადოების დირექტორს და ინჟენერს მუდრიეს **მოლაპარაკება ჰქონდათ და შემდეგი დაადგინეს:** გამოეცხადოთ ყველა გაფიცულ მოსამსახურეთ, რომ ისინი, თუ ამ თვის 25-მდე მუშაობას არ დაიწყებენ, სამსახურიდან დათხოვნილ იქმნებიანო.

◆ ამ დღეებში ტფილისში კიდევ ჩამოვიდა თურქესტანის **სამხედრო ბრიგადა მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა** და ასე დაანაწილეს: ბათუმში გაიგზავნა ორი კაცი, სამტრედიას—4, ხაშურს—4, ტფილისში—17, განჯაში—7, ბაქოს—10 და გუმბრში—6.

◆ სოფ. მუხრანში (ტფილ. მაზრა) ამას წინად 50 **კაზაკი გაიგზავნა** და იქვე დაბანაკდა.

◆ სახაზინო **თეატრის მოსამსახურეთა დირექციასა სთხოვეს: ჯამაგირების** მომატება, სამუშაო დროის შემცირება და დასასვენებლად რამდენიმე ხნით სამსახურიდან განთავისუფლება.

◆ ქალაქ კავკასიის—სტავროპოლში შეიპყრეს სპარსეთის ქვეშევრდომი სამი სომეხი, **რომელთაც 2150 პატრონა აღმოაჩნდათ.**

◆ სოფელ **წავკისის გლეხებს** ყრილობა ჰქონდათ და **გადაუწყვეტიათ—გააძევონ** ადგილობრივი მღვდელი. ეს გადაწყვეტილება მღვდლისთვის უკვე გამოუცხადებიათ.

◆ ს. ყვარელში (კახეთი) 10 აპრილს **მოჰკლეს ამ სოფლის დეპუტატი** (ხალხის ამორჩეული) ბურკაძე. ღამე მის სახლის ახლო ჩასაფრებოდა ბოროტ-მოქმედი. ძაღლს ყეფა დაეწყო. ბურკაძე გარედ გამოსულა და უნდა კიბეზე ჩამოსულიყო. ამ დროს კიბეზე გავარდ თოფი და საბრალო უსულოდ დაეცა. წინა-დღეს სოფელს ქურდობის მოსპობაზე ლაპარაკი ჰქონია. ბურკაძეს, როგორც დეპუტატს, წინადადება შეეტანა, ასეთი პირები უეჭველად გადაესახლოთო და აღენიშნათ კიდეც მათი გვარები. რასაკვირველია ასეთ პირებს გაეგოთ და წუთისოფელს გამოასალმეს მართლის მთქმელი. ამ ამბავმა სოფელი ძლიერ ააღელვა. ხალხი თვითონ შეუდგა ბოროტ-მოქმედის აღმოჩენას.

◆ გუშინ, ნაშუადღევის ოთხ საათზე, პეტერბურგიდან ტფილისს **ჩამოვიდა საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გაკელი.**

◆ 21 აპრილს, პეტერბურგიდან ტფილისში **ვიდა** პეტერბურგში გაგზავნილ სომეხ დე ს ერთი წევრთაგანი —არქიმანდრიტი მეს- ერ-ბოსეხიანი და იმავე დღეს გაემგზავრა ინს, სადაც იგი წარსდგება სომეხთა კათო- ლსის წინაშე („მშაკი“).

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა აგანგებო კრების მიერ შედგენილი ადრესი** თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თ. დ. ჯამბაკურ-ორბელიანმა უკვე გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს (ცნ. ფ.).

◆ „ცნ. ფურ.“-ს სამტრედიიდან დეპეშით ატყო- ებენ: სამტრედიისა და კულაშის მცხოვრებნი იერ შევიწროვდნენ, რადგან დაეკისრათ 5,500 **ნეთის გადახდა მოკლულ ბოქაულისა და მამასახლისის ოჯახთა სასარგებლოდ.** მცხოვრებთ იშუამდგომლეს გენერალ-გუბერნატორის თავ. ორბელიანის წინაშე, მაგრამ უარი მიიღეს. შემდეგ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან გაგზავნეს დეპეშა. მცხოვრებნი შეშფოთებულნი და შეშინებულნი არიან იმ ხმებით, ვითომ იმათვე უნდა ადახდევინონ ის ორასი თუმანი, რომელიც სტის გაძარცვის დროს წაიღეს.

◆ ტფილისის პედაგოგთა-მიერ მიღებულ ზოლუციას ამჟამად 150 კაცს ხელი აქვს **ოწერილი** (ტფ. ლის.).

◆ ქალაქ ნუხაში მცხოვრებელმა აბდულ-მამუდ-ჯალილ-ოღლი მუსტაფიევმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა,—ნება დართოს, გამოსცეს **ტფილისში რუსულსა და ადერბეიჯანურ ენებზე ყოველ-დღიური გაზეთი „ვოსტოკ“-ი.** (კავ.).

◆ რადგანაც მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში დროებით სწავლა შესწყდა, ამ უნივერსიტეტის გამგეობა შეეკითხა ხელმწიფის ნაცვლის მოადგილეს კავკასიაში გენერალ მალამას, სასურველია და შესაძლებელია თუ არა **კავკასიის სტიპენდიანტებს ამას შემდეგ სტიპენდია ვაძლიოთო.** გენ. მალამამ შეუთვალა: პირველ ენკენისთვემდის აძლიეთ და, თუ პირველ ენკენისთვიდანაც სწავლა არ დაიწყო, მაშინ მოუსპეთო (კავ.).

◆ კავკასიის სამოსწავლო **ოლქის მზრუნველმა სთხოვა ქალაქის გამგეობას**—რეალურ სასწავლებლის შენობის ასაგებად და მიწის შესაძენად 368 ათასი მანათი გვასესხეთო. გამგეობამ არ შეიწყნარა მზრუნველის თხოვნა.

◆ **ქალაქის გამგეობამ აცნობა** ტფილისის გუბერნიის **მაზრის უფროსებს:** ცხენებით ვაჭრობა (იარმუკა) დაიწყება 5 მაისს და გასტანს 18 მაისამდეო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა თ-დ **არგუთინსკიმ ვრცელი მოხსენება წარადგინა გამგეობაში ქალაქის** მოსამსახურე მოხელეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ. სხვათა შორის, თ-დი არგუთინსკი თხოულობს: მოსამსახურეთათვის დაარსდეს სასურსათო და საეკონომიო მაღაზიები, აშენდეს იაფ-ფასიანი სახლები, დაარსდეს შემნახველ-გამსესხებელი და სამარხი კასსები, გაიხსნას უფასო სასწავლებლები, საავადმყოფოები და სხვა.

◆ ჩუხრანიანთ ქუჩის საქალაქო **ბორანი სახიფათო მდგომარეობაშია:** წყლის ორივე ნაპირას მოწყობილი ფიცრები, ვითომ და ხიდები, ისე ტოკავენ, რომ კაცს დიდი სიფრთხილე ჰმართებს. რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, ახლავე ყურადღება მიექცეს. ამას გარდა, არც ბორანზე მოსამსახურეთათვის აგებული ფარდულებია რიგიან ყოფაში—მეტისმეტი ფარღალალა და მოუწყობელია.

◆ გუშინ, 22 აპრილს, ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა კრება კალატოზების. კრებამ შემდეგი დაადგინა:

8 საათის სამუშაო დღე. ზაფხულობით დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ხოლო ზამთრობით დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე (აქედან 2 საათი სასადილოს და საუზმისათვის მიეცემათ). კვირა-უქმე დღეს „შაბაში“ ნაშუადღევის 3 ს. იჯარადრობის მოსპობა. არავის არ შეეძლოს იჯარით ადება შენობისა, არც კალატოზს და არც გარეშე პირს. დაქირავებულ მუშას მუშაობა მთელი დღე ჩაეთვალოს, თუნდა გვიანაც იყოს დაქირავებული და ან ადრე გასტუმრებული. ერთი ადგილი დაინიშნოს კალატოზთა დასაქირავებლად. დაარსდეს ბიურო, თავისუფლება კრებისა, სიტყვის და გაფიცვისა. სავადმყოფო სახელმწიფო დაზღვევა ხაზინის ხარჯზე. გაფიცვის დროს ხვედრი ფულის მიცემა. სახელოსნო მამასახლისის თანამდებობის გაუქმება. კომისიის არჩევა, რომელმაც ანგარიში უნდა მოსთხოვოს ამქრის მამასახლისს და სახელოსნო მოურავს. სახელმწიფო ხარჯზე, სწავლება თექვსმეტ წლამდე. სწავლება უნდა იყოს ადგილობრივ ენებზე. 16 წლისაზე პატარა არ აიყვანონ შეგირდად. ყოველ ოსტატს მარტო თითო შეგირდის აყვანის ნება აქვს. შეგირდმა 3 წელიწადი უნდა იმსახუროს, მაგრამ თუ ამაზე ადრე მოემზადა, კომისიას ან ბიუროს შეუძლიან გამოსცადოს და შესაფერი მოწმობა მისცეს ოსტატობისა. ჯამაგირები შეგირდებს: პირველ წელიწადს თვეში—სამი მანათი, მეორე თვეში—ექვსი მანათი, ხოლო მესამე წელიწადს—თვეში ათი მანათი და არსებული დღიური ფასი ოსტატზე და შეგირდზე გადიდებულ იქმნეს 25 პროცენტით.

კრება ნაშუადღევის 4 საათზე დაიშალა.

◆ ამ ცოტა ხანში **ივრის ხეობაზე რამდენიმე ქურდობა მოხდა.** ერთს პატარძეულელ გლეხს ამ წინაზე ოთხი ხარი მოჰპარეს; მას შემდეგ ხაშმზე პირველად ერთი დეკეული, ხოლო უკანასკნელად ერთი კვიციანი ცხენი მოიპარეს. ყველა ნაქურდალი აღმოაჩინეს. ხარებისა და ცხენის კვალი მუღანლოში მიიტანეს. პატარძეულელებმა ხარები დაიბრუნეს და ბოლოს სოფ. მუღანლოს მოსთხოვეს—ჩვენი ქურდიც უნდა გვიჩვენოთ. ბევრის უარის შემდეგ, თათარმა აღიარა, ხარები პატარძეულელმა გლეხმა მომცაო. სხვა ქურდების დასახელებასაც შეპირდნენ. სოფლელები **„ერთობის“** ძალით ახალის სამართლით ასამართლებენ დამნაშავეებს და სამაგალითოთაც სჯიან.

◆ ჩვენ გვთხოვენ ყურადღება **მივაქციოთ მეეზოვეთა შემდეგ საქციელს:** ივანე მჭედლოვს თავის ღვინის საწყობის წინ, ულაგობის გამო, დაუწყვია ღვინით სავსე სამი ბოჩკა. ვიღაცას ბოჩკა გაუხვრეტია და ხუთ ვედრამდის ღვინო მოუპარავს. ეჭვი მიიტანეს მეეზოვე ზაქარია სტრელკოვზე. პოლიციას ამ მეეზოვის სახლი გაუჩხრეკია და, თუმცა ღვინო ვერ აღმოუჩენია, მის მაგიერად უპოვნია ხუთი სკამი, ცოცხები და ჭურჭელი, რომელიც მას სხვადასხვა დროს ტარასოვისთვის მოუპარავს. გამოძიება სწარმოებს.

დიდუბის ამბები. აღდგომის წინა დღეებში, დიდუბეში, სადაც საქალაქო საავადმყოფოა და მრავალი ხალხი დადის, ელისაბედის ქუჩაზე, ღამის ათი საათი არ იყო, შეუხტნენ ვაჭარს თათანიანცს შეიარაღებული ავაზაკები მაღაზიაში. სამი დახლთან მივიდა, სამი გარედ დადგა და რამდენიმე ეზოს შემოერტყა. გატენილი რევოლვერები გულზე მიადეს ვაჭარს—ან მოგვეცი, რაც ფული გაქვს, ან არა და წუთისოფელს გამოესალმეო. შეშინებულმა ვაჭარმა სისხლში გარევას ფულის მიცემა არჩია და იმ დღის ნავაჭრი 250 მანათი გადასცა; მიიღეს ფული და არხეინად გაუდგნენ გზას. იქვე მეეზოვეები უყურებდნენ და შიშით ხმა ვერავინ ამოიღო. ვაჭარმა ავაზაკები ყველა ვერ იცნო, რადგანაც ავაზაკებს გრიმი ჰქონდათ, ხოლო ერთს შეამჩნია უხეიროდ მიკრული წვერი. ხმა გავრცელდა ხალხში, ესენი უთუოდ დეპოს მუშათაგანი იქნებოდნენო. მაგრამ ტყუილი გამოდგა. დიდი ხანია, დიდუბის ავკარგიანობას ვადევნებ თვალსა და ერთხელაც არ შემიჩნევია, რომ მუშებს ამისთანა საქმე მოეხდინოთ. ეს სწორედ იმას მიაგავს, გავარდნილ ყაჩაღების სახელით ქურდ-ბაცაცები რომ სარგებლობდნენ და ათასნაირ სისაძაგლეს სჩადიოდნენ. აი, აქაც ასე მოხდა. მეათე ნაწილის მეთვალყურემ კაჩაროვმა იმავე ღამეს შეიპყრო ავაზაკები და სწორედ ის 250 მანათი უპოვა,—შვიდი 25 მანათიანი და სამი თოთო თუმნიანი,—რომელიც ვაჭარს გადაეცა. ავაზაკები დიდუბისავე ვაჭრები არიან.

ამას არ გვაჯერებენ და უსახელო წერილები მოგვდის,—თუ ამა და ამდენს თუმანს დანიშნულს ალაგას არ მივიტანთ, რას არ გვიქადიან. მართალია, ამგვარი მოვლენა ახალი არ არის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დიდუბე მეტი წილი ბუდეა ბოროტმოქმედებისა. სადაც დედას შვილი დაკარგული ჰყავს, აქ უნდა მოსძებნოს. ერთის სიტყვით, თავზე ხელ-აღებულების საფარია. ჩვენ გაჭირვების მოთვლას საზღვარი არა აქვს.

დაიგო რამდენიმე ქუჩა ქვით, მაგრამ ისეთ ქუჩებს კი ყურადღებას არავინ აქცევს, სადაც მეტი მცხოვრებია. იქ აგებენ, სადაც ქალაქის ხმოსნები დგანან. ერთი საკმაოდ გრძელი ქუჩა დაიგო, დამოჟნიდამ რომ ჩამოდის ელისაბედის ქუჩამდე, სადაც ერთი სახლიც არ არის, სოსინის საძლებრო ქარხანამ. ეს სოსინი მგონი ქალაქის საბჭოს ხმოსანია. საჩუქრის ღირსია, ვინც გამოიცნობს მიზეზს ამ ქუჩის დაგებისას. მთელი ქვეყანა უსამართლობაზე ლაპარაკობს, ის კი ამ მხრივ უფრო ძლიერდება. ტყუილია ლაპარაკი, კაცმა უნდა იბრძოლოს, თორემ სიმართლეს და სამართალს ჩვენ ვერა ვნახავთ.

დიდუბის ქუჩები წუმპე-ტალახს წარმოადგენს. ტროტუარების გაკეთებას არავინ ფიქრობს.

საფიქრებელია, რომ მთლად დიდუბეს რამე ჭირი მოედება და აქედან სხვაგანაც გადავა. რა ჭირი არ გაჩნდება დიდუბეში, როდესაც აქ არც წყალია გამოყვანილი და არც უსუფთაობის გასაყვანი მილებია გაკეთებული (კანალიზაცია). ყველას ორმო აქვს გათხრილი ეზოებში და იქ ჩადის ყველა უსუფთაობა. აიმსო მთლად ეზოები. ისეთი სუნი ტრიალებს, რომ კაცს შეზარავს. ზოგს შენობა ექცევა ორმოს მიზეზით. გეგმა წარადგინეს დიდუბელებმა, სთხოვეს ქალაქის თვითმართველობას—გააკეთოს, ფული გასწეროს მამულის პატრონებზე, მიიღონ. მაგრამ ქალაქი ამას არა კისრულობს. სხვა ალაგებში კი რამდენ ფულს ხარჯვენ და სახლებსაც აგებენ,—ხოლერას უნდა ვებრძოლოთო.

იმედი გვქონდა, სააღდგომოდ ელექტრონის რკინის გზას გამოიყვანდნენ. კარგა ხანია გადაწყვეტილია, მუშაობასაც შეუდგნენ, რელსებიც გააწყეს პატარა მანძილზე და მერე სულ თავი გაანებეს.

ერთის სიტყვით, დიდუბე ყველასაგან მივიწყებულია.

X.

რუსულ გაზეთის აზრი გურიის მოძრაობაზე

ის მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად ჩავარდა მთელი კავკასია, მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო ყველასთვის.

ეს მდგომარეობა იმ მიზეზების შედეგია, რომელთაც დასცეს ქონებრივად კავკასიაში მცხოვრები ერები.

მიზეზიც ბევრია და საკვირველია, რომ მათ მოსასპობად დღემდის არავითარი ზომა არ მიუღია მთავრობას.

რა მიზეზებმა ააჯანყეს გურია,—ცხოვრების აუტანელმა პირობებმა, სტრაჟნიკების თავგასულობამ.

გურია,—მდიდარ ბუნების პატრონი,—სიღარიბეში ჩავარდნილია,—დაუჯერებელი, წარმოუდგენელი ამბავი! ადამიანს ეგონება, ეგება თვით გურულები ზარმაცები არიან,—მაგრამ არა, გურულები კარგი მუშა-ხალხია, მშრომელი, სვინიდისიერი. მაგრამ რა ჰქმნან, როდესაც არა აქვთ მიწა, რა ჰქმნან, როდესაც მიწა ეკუთვნის ხაზინას, საუფლისწულო უწყებას და კერძო მემამულეებს.

1861 წელს მთავრობამ მოსპო ბატონყმობა, მაგრამ გუშინდელ ყმას არ მისცა მიწა და, რაკი ლუკმა-პური იყო საჭირო, ამიტომ ამ მიწებს იჯარით იღებდა გლეხი და იძულებული შეიქმნა თანდათან მეტი იჯარა გადაეხადა.

ეკონომიურ მიზეზს დაემატა სტრაჟნიკების გაბატონებაც. ვის არ გაუგონია სტრაჟნიკების სხვადასხვა შემაძრწუნებელი ამბები სოფლად. თვით „ნოვოე ვრემიაც“ გადმოგვცემს, რომ ურიადნიკები და სტრაჟნიკები უვარდებოდნენ სოფლელებს, ქალებს აუპატიურებდნენ, ყოველგვარ ძალმომრეობას იწყებდნენ.

ხალხი ითმენდა, მაგრამ ბოლოს ეს მოთმენაც შეუძლებელი შეიქმნა, რუსეთის ახლანდელ მდგომარეობით ისარგებლეს გურულებმა და აჯანყება დაიწყეს.

იქ მოითხოვეს: ადგილ-მამული, ენისა და სიტყვის თავისუფლება, საყოველთაო სწავლა-განათლება, სოფლის მამასახლისების არჩევა სოფლელებისგან, სამხედრო წესების მოსპობა.

არავითარი სეპარატისტობა არ არის გურულების მოძრაობაში და ამიტომ საჭირო არ არის მათ შესახებ რამე სასტიკი ზომების მიღება.

საჭიროა იქმნეს დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილება და საჭიროა ამ საქმეს,—გლეხების დაკმაყოფილებას,—მეტი ყურადღება მიაქციოს საზოგადოებამ, ვინაიდან გურია მხოლოდ პირველია,—რუსეთის მთელი გლეხობა დღეს-დღეობით იმავე მდგომარეობაშია ჩავარდნილი და უთუოდ იმავე გზას დაადგება შემდეგში, რომელსაც უკვე დაადგა გურია.

დ. კ—სკი

(„ზაპადნოე სლოვო“ № 184).

საზოგადოების საყურადღებოდ

დღეს მთელი საქართველო მოითხოვს, რომ კავკასიაში სწავლა-განათლება იყოს მოწყობილი სამშობლო ენაზე.

საოცარია! ქართველი ერი, რომელიც ჩამორჩენილი და ველური ეგონა რუსებს, დღეს განათლებულ ქვეყნებს ამოუდგა გვერდში და უნდა მათსავით მოიწყოს თავისი ცხოვრება.

ქართველ ერს უნდა თვითონ განაგოს თავისი საქმე. დღემდის სხვის იმედით იყო გაჩერებული და ამ იმედებით ვერ მიაღწია ვერაფერს,—დღეს სამოქმედო ასპარეზზე მხოლოდ საკუთარ ძალის მოიმედეთ გამოდის და მისი პირველი ნაბიჯიც გონივრული გამოდგა.

ქართველ ინტელიგენციას დიდ შეცდომად ჩაეთვლება უთუოდ, თუ ღირსეულად არ მიეგება გამოფხიზლებულ ერის სურვილებს და არ ეცადა ამ სურვილების ჯეროვნად დაკმაყოფილებას.

სწავლა-განათლების ახლად მოწყობა სამშობლო ენაზე მეტად რთული და ძნელი საქმეა, და სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ საზოგადოება ახლავე შეუდგეს საქმეს,—არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ერთი და ორი ადამიანი ვერაფერს გახდება, აქ მრავალი თავდადებული მუშაკი არის საჭირო.

ყველა, ვისაც გული შესტკივა მოხსენებულ საქმეზე, ვისაც შეუძლია სიტყვით ან საქმით გაუწიოს მას დახმარება, ვალდებულია გაუზიაროს თავისი მოსაზრება საზოგადოებას, რომ საერთო შრომით მოეწყოს დიადი საქმე.

თვითონ ხალხს სწავლა-განათლების მიზანი და ნაყოფი ესმის თავისებურად. ხალხს უნდა, რომ სწავლა-განათლებამ რამე თვალსაჩინო ცვლილება შეიტანოს მის ცხოვრებაში, რომ არ შეიბღალოს ადამიანის ღირსება, რომ პრაქტიკა შეეთანხმოს თეორიას, რომ ზნეობა შეუკავშირდეს კანონს. ერთის სიტყვით, სარგებლობა უნდა მოიტანოს სწავლებამ.

ამას დაკვირვება სჭირია და, რაკი ქართველ ერს აღარ სურს სხვების აპეკუნობა და უნდა თავის საკუთარ საქმეს თვითონვე გაუძღვეს შემდეგში, ამიტომ არის საჭირო ამ საქმისათვის ახლავე განსაკუთრებული ორგანიზაცია.

საჭიროა ბიურო, რომელიც იკისრებს ამ საქმის მეთაურობას, მოიწვევს კერძო პირებს, მოელაპარაკება დაწესებულებებს, ეცდება იმათ შეკავშირებას, ვისაც აინტერესებს ქართველებში სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგება.

დაგვიანება არ ვარგა—ცხოვრება წინ მიისწრაფება, ყოველ მის ახალ საჭიროებას დროზე უნდა დაკმაყოფილება, თორემ ცხოვრება ბუნებრივ გზას ძალა-უნებურად ასცდება.

სწორედ საქმის დასაჩქარებლად საქმის საუკეთესოდ მოსაწყობად განსაკუთრებულ საორგანიზაციო ბიუროს ახლავე შედგენა არის საჭირო.

ალ. ჯავახიშვილი.

რუსეთი

◆ ხმა დადიოდა, ან სააღდგომოდ, ან მაისის დამდეგს გაანთავისუფლებენ ყველა იმას, ვინც თავის პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ რწმენისთვის დაისაჯაო. „ბირ. ვედ“-ის დანამდვილებით გაუგია, რომ ეს ხმა ტყუილია. **პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება რუსეთის ბიუროკრატიას აზრადაც არ მოსვლია** (ს. ო.).

◆ რუსეთში მომავალ ცვლილებების მოლოდინში პოლიტიკური პარტიები თითქმის ყოველ დღე მატულობს. ამ ცოტა ხანში ორი პარტია დაარსდა: ერთი შიპოვისა, რომელსაც **შესაძლოდ მიაჩნია ხალხის წარმომადგენელთა მოწვევაცა და თვითმპყრობელობის დარჩენაც.** მეორე პარტია ზომიერებს ეკუთვნის და სახელად ინტერნაციონალური პარტია ეწოდა. ამ პარტიაში შევლენ ყველა ზომიერნი, გაურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. რადგან მოსალოდნელია, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ამ პარტიას უფრო მარცხნივ გასწევენ, ამიტომ, როგორც ამბობენ, ეს პარტია შიპოვს მარცხნივ ამოუდგება და ამრიგად ცენტრის მარცხენა ფლანგს შეადგენს (ს. ო.).

◆ პიროგოვის საზოგადოების ჟურნალის მარტის ნომერი **ცენზურამ დაიჭირა,** რადგანაც ამ ნომერში დაწვრილებით იყო აწერილი ამ საზოგადოების უკანასკნელი კრება (ს.).

◆ რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოების მოსკოვის განყოფილებამ მთავრობისგან მოწერილობა მიიღო, თქვენ-მიერ შედგენილ სხვადასხვა **კომისიების კრებები შეაჩერეთო** (რ. ვ.).

◆ რიგაში „ეტნა“-ს ქარხნის ქვეშ თხრილები აღმოაჩინეს. თხრილი წამლით იყო სავსე და აქედან მავთულები იყო აქეთ-იქით გაბმული. როგორც აღმოჩნდა, ვიღაცებს **ქარხნის აფეთქება სდომებიათ** (ს. ო.).

◆ რუსეთის ზოგიერთა მიყრუებულ დაბა-ქალაქებში **პოლიცია მცხოვრებლებს გაზეთის კითხვას უკრძალავს.** პოლიციას ტრაქტირებისა და რესტორანების პატრონები დაუბარებია და უბრძანებია, ნურც თქვენ გამოიწერთ გაზეთსა და ნურც სხვას შემოატანინებთ თქვენს ტრაქტირებშიო ს. კ.).

◆ ამ ცოტა ხანში ვარშაველ ვექილთა დეპუტატები გენერალ-გუბერნატორს წარუდგნენ და მოსთხოვეს, **ხალხმა საბოლოოდ გადაწყვიტა გმინის დაწესებულებებში პოლონური ენა შემოიღოს** და გთხოვთ ეს დადგენილება დააკანონოთო. წინადაც და ეხლაც ყველა, ვინც კი ამის თხოვნა გაბედა, პოლონეთიდან გადაასახლეს (რ. ვ.).

◆ პოლონეთში ერთ სოფელში პოლონელმა ბუხგოლცმა გმინის კრებაზე მოითხოვა, აქ მყოფი საერობო დარაჯი უნდა წავიდეს, რადგან კანონის ძალით იმას კრებაზე ყოფნის ნება არა აქვსო. დარაჯი მართლა წავიდა, მაგრამ საღამოზე ორი ამხანაგი მოიყვანა და ზემოხსენებულ გლეხის სახლს მიადგა. გლეხი დარაჯებმა გარეთ გამოიტყუეს, **შეჰკრეს და იმდენი სცემეს, რომ ბუხგოლცი სამუდამოდ დამახინჯდა** (რ. ვ.).

◆ სწორედ რომ საარაკო და დაუჯერებელი ამბები ხდება სასულიერო კონსისტორიებში, რომელთაც ეხლაც **არ იციან, რომ რუსეთში ბატონ-ყმობა გადავარდა.** თუ არა გჯერათ, ინებეთ: აიღეთ რომელიმე კონსისტორიის ქორწინების წიგნი და პირველ გვერდზევე წაიკითხავთ: „ვისაც ქორწინება უნდა, ნებართვის შემდეგი მოწმობა უნდა წარმოადგინოს: საუფლისწულო ყმებმა—საუფლისწულო მამულების სამმართველოსგან, მემამულეთა გლეხებმა—მემამულისგან, თავად-აზნაურთა ყმებმა—თავად-აზნაურთაგან და სხ. და სხ. ეს სტრიქონები ეხლაც, აი, დღესაც სწერია კონსისტორიის წიგნებში (რ. ვ.).

კორესპონდენცია

ქ. თელავი. როგორც ჩვენის სამშობლოს სხვა ბევრი დაბა-ქალაქი, არც თელავი დააგდეს უყურადღებოდ და მასაც მოწყალე თვალით გადმოხედეს კაზაკ-რუსებმა. 10 აპრილს საღამოთი გვეწვივნენ კაზაკები. ჯერ თელავს კაზაკის ფეხი არ უნახავს, ამისთვის ბევრი ცნობისმოყვარე ხალხი დაედევნა უკან, რათა ყველას ენახა ცნობილი კაზაკები.

ბევრს ესიამოვნა ამათი მოსვლა და, ბაზარში რომ შეიარაღებული სალდათებ-სტრაჟნიკები დადიან, ეს ხომ გულის მალამოდ ეფინება აქაურ მოვაჭრეებს.

ღამის 10—11 საათამდე მუშაობა და დუქნებში ფეხზე დგომა-ვაჭრობა ვეღარ აიტანეს ნოქრებმა, გონს მოვიდნენ აქ მომუშავე ადების ხელქვეთნი და გაიფიცნენ. მალე ნაყოფი გამოიღო. საღამოს 8 საათზე დაიწყეს დუქნების კეტვა. ამ დროს ხაზეინები შიშით უყურებდნენ ნოქარ-ქარგალთა ქცევას და თან ფიქრობდნენ, გვაცადეთ, თუ ისევ შუაღამემდე არ გამუშავათ, მაშ ჩვენ კაცები აღარ ვყოფილვართო.

მართლაც, გაფიცვის ნაყოფი დიდ-გრძელი არ გამოდგა. ბაზარში თოფიანი სალდათები დაინახეს თუ არა, თელავის მოვაჭრეებს ისევ გული მოეცათ. როგორც წინად ჰქონდათ დუქნები ღია და მუშაობდნენ, ახლა უფრო დროს გადაუმატეს. აბა, თუ ბიჭები ხართ, თქვით რამე, თქვენ გიჩვენებთ, აგე თოფი, ხიშტი და კაზაკიო.

დიახ, ბევრს ასე უხარიან და მათი სტუმრობა სანეტაროდ გაუხდია.

აქაურ მოსწავლეთა გაფიცვა ერთის სასწავლებლის უფროსის სიტყვით ნევის პროსპექტზე დაწყებულ ზვირთების ერთი წანწკალია, ამ დროის ჩვეულებრივი მოვლენაო. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომელნიც ისევ მეცხრამეტე საუკუნეში ჰგრძნობენ თავს და ჰლამობენ ასეთი მოძრაობა კარების ჩაკეტვით გააჩერონ. სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა გაფიცვა ასეთი საშუალებით უნდოდა ჩაექროთ. ასეთი აღმოჩნდა პეტერბურგში განათლებული ერთი პედაგოგი, რომელმაც პოლიციის მოხელის როლიც-კი იკისრა, სასწავლებლის კარებში ჩადგა და სხვა მოსწავლეთ ერეკებოდა ..

ამ დღეს ყველანი ამ სახელ-განთქმულ პედაგოგზე ლაპარაკობდნენ და ზოგნი-კიდეც დასცინოდნენ: რა ენაღვლება, ხალხმა ილაპარაკოს, იქნება თვითონაც გრძნობს თავის საქციელს, მაგრამ უფროსი ხომ ხედავდა,—მთავრობის გულს მოიგებს და ამას-კი შეიძლება სტატსკი სოვეტნიკობა და იქნება ორდენებიც მოჰყვესო.

ხელი.

თეატრი და ხელოვნება

ორშაბათს, 18 აპრილს, არაქსიანის თეატრში ქართულ-სომხურ სცენის მოყვარულთა დასმა წარმოადგინა ა. ნიკიტინისაგან ნათარგმნი სამ-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეა?“. პიესამ ცოტა სუსტად ჩაიარა. კარგები იყვნენ ქ-ნი ქართველიშვილისა (იულიას როლში), ბ. ფირუმიანი (ადოლფ-კრამერის), ნ. ჯიალაძე (ფონ-ეილენ), ბ. რევაზოვი (ვილჰელმ შმიდტი), ბ. მარკოზოვი (კარლი), დანარჩენები ძლიერ სუსტობდნენ. სუსტი იყო აგრეთვე ბ-ნი ბალაშვილი, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობდა (ტომას ლეერსი). დასასრულ, არტისტის ბ-ნ სოლომონიანის და პარუნ-სარქისიანის მონაწილეობით წარმოადგინეს ქართულ-სომხურ-რუსულ და თათრულს ენაზე ა. ბაჯიაშვილის-მიერ გადმოკეთებული 1 მოქმედებიანი ვოდევილი „კრთ-კრთ“. ბ.ბ. სოლომონიანი და სარქისიანი საზოგადოებამ ტაშის კვრით დააჯილდოვა. ხალხი ძრიელ ბევრი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. წარმოდგენა პირველ საათზე გათავდა.

დაუდ-ბეგ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 აპრილი.

ამოი, 21 აპრილი. (რეიტერი). ჩინეთის სამხრეთ ნაპირებზე ტაიფუნი მძვინვარებდა, რომელმაც, როგორც ამბობენ, როჟესტვენსკის ესკადრას მოასწრო. რამდენიმე წვრილი გემი როჟესტვენსკის უმთავრესს ძალას ჩამოშორდაო.

გუნჟულინი. ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ შენიშნეს ხუნხუზები და იაპონელთა კავალერიის მცირე რაზმები. ჩვენს მარჯვენა ფრთებთან ჩინელები იხიზნებიან. უცხოელი სამხედრო აგენტები მოვიდნენ ხარბინიდან და ლინევიჩს წარუდგნენ.

სინგაპური. მესამე ესკადრამ აქ გაიარა 22 აპრილს დილის $5^1/_2$ საათს. ესკადრაში იყო ექვსი სამხედრო გემი და სამი სანახშირე. ბურუსი იდგა.

ტოკიო. აქაურ გაზეთებს როჟესტვენსკის წასვლა კამრანიდან ხუმრობად მიაჩნიათ, რადგან ხონკოიში უკეთეს გარემოებაში იქმნება, და ამბობენ, დრო დადგა, როდესაც ჩვენის თავის დასაცველადო გაბედული მოქმედებაა საჭირო.

ჰონკონგი. რუსეთის ესკადრის უმეტესი ნაწილი ხაინანის სამხრეთით ნავთსადგურ ლეონგსოიში მოვიდა.

სინგაპური. 11 გემისაგან შემდგარმა ნებოგატოვის ესკადრამ სინგაპურის მახლობლად გაიარა.

ტოკიო. ერთი კაცი, რომელიც ინგლისელობას ჩემობდა, შანჰაიში ცდილობდა ჩინეთის მოხელეები მოესყიდნა და დაეყოლიებინა, რომ იარაღ-აყრილ რუსების კრეისერ „ასკოლდის“ დაშლილი მექანიზმი შეეკეთებინა. ამისთვის ქრთამად აძლევდა 150,000 გირვანქა სტერლინგს. გერმანელი კაპიტანი 50,000 გირვანქა სტერლინგს თხოულობდა, რომ ეს გემი ნავთ-სადგურიდან გაეყვანა. შეთქმულობა გამოაშკარავდა. ამჟამად ვუზუნის შესავალს ზარბაზნები დაუმიზნეს.

ჰონკონგი. გაიფონიდან მიღებული დეპეშა მოწმობს, რომ ადმირალი დაილი ადონის ნავთსადგურში საფრანგეთის ესკადრას შეუერთდაო. ადმირალი ჟონკიერი საიგონიდან ჰონკოხეს ნავთსადგურში კრეისერ „გიშენი“-თ წავიდა.

ლონდონი. ტაიმსის კორესპონდენტი იუწყება, როჟესტვენსკის კრეისერები ჰონკოიხოეს ნავთსადგურში არისო.

გუნჟულინი. საყურადღებოა, რომ რკინის გზის აღმოსავლეთად ჩინელები თავიანთებურის მუყაითობით მუშაობენ მინდვრად, დასავლეთისკენ კი ამავე დროს ხალხი სტოვებს სახლ-კარსა და იხიზნება. ეს მოვლენა ყოველთვის იმის მომასწავებელი ყოფილა, რომ სამხედრო მოქმედება ახლო ხანშია მოსალოდნელი.

ვარშავა, 21 აპრილი. დილისა და საღამოს გაზეთები არ გამოსულან.

კალიში, 21 აპრილი. ველიუნის მაზრის სოფელ ძიერჟონკის გლეხებმა სახელმწიფო ტყე გაჩეხეს. როდესაც გამჩეხავების შეპყრობა მოინდომეს, ტყის მცველებს იარაღით წინააღუდგნენ.

ბელოსტოკი, 21 აპრილი. ანტონიუკის მახლობლად 10 მუშამ მძიმედ დასჭრა ფაბრიკანტი იაკობი.

ჩიკაგო. ტრამვაის მეეტლეთა გაფიცვის გამო უწესოებანი ჯერ არ მოსპობილა.

ტეგერანი. მომეტებულ ხარჯების შიშით ცნობილმა ვაჭრებმა შაჰის მოგზაურობის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადეს და ტეგერანიდან 12 ვერსის მანძილზე აბდულაზიმში გაიქცნენ.

სოფია. სალონიკში ბერძნებმა ბულგარელების საწინააღმდეგო უწესოებანი მოახდინეს, ბულგარელთა საქალებო გიმნაზიის დირექტორს დაეცნენ და ბულგარელი მღვდელი მანდიჩევი სასიკვდილოდ დასჭრეს.

ჩიკაგო. გაფიცვისა გამო პირველი კავალერიის პოლკი ქალაქში შესასვლელს ბრძანებას ელის.

პარიზი. ოსმალეთმა გადასწყვიტა, იემენში აჯანყების ჩასაქრობად ასი-ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი გაგზავნოს.

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.